

იყიდება საქართველო



იყიდება

საქართველო. მინდორ-ველით, მთა-გორით, ტყით, ვენახით, სათესით; წარსულის ისტორიით, მომავალი სვე-ბედით; მშვენიერის ენით; ნაქარგი ფარჩა - ხავერდით; ვაჟკაცურის ხასიათით, სტუმართ-მოყვარეობით;

დიდებულის სანახაობით, წმინდა ჰაერით; ნაამაგვეი სახლით და კარით; ჩუქურთმიანი მონასტრებით და ეკლესიებით; მჩქეფარე ნაკადურებით; ღურჯის ზღვით; მოწმენდილ-მოკაშკაშებუნი ცით; ერთ, ბერთ; თვარწარმტაც ბანოვანთა გუნდებით; გონებაგახსნილ ვაჟებით; მარხაბი ბავშვებით; ვერცხლისფერ თმით შემოსილ პატივსადებ მოხუცებით. იყიდება საქართველო დედით და მამით, შვირით და ძირით, ძმით, დით, ცოლით და ნათესავ-მოყვრებით.

ჰყიდის ყველა: თავადი, მღვდელი, ვაჭარი, ავაზაკი, დიდი და პატარა, ჭკვიანი და სურელი, დოთი და პირაკრუდი.

იყიდება ყველგან: ქუჩაში და სახლში, თეატრში და სასამართლოში, სასწავლებლებში, სატუსალოში, ეტრში, მატარებლებში, დილით და ღამით, სიცხეში და სიცივეში, დარში და ავდარში.

იყიდება ერთიანად: შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე და ოსეთიდან სპარსეთამდე. იყიდება ნაწილ-ნაწილ: კახეთი და იმერეთი, ქართლი, სვანეთი და სამეგრელო, გურია და რეჩხუმი, რაჭა და ჭავჭავეთი. იყიდება პატარ-პატარ ნაჭრებათ, ვისაც რამდენი სურს და როგორც უნდა: ნისიათ, უფასოდ, ნაღდად, დროებით და სამუდამოთ; ბანკის დახმარებით და ჩვენი საშუალებით.

იყიდეთ ბარემ მთრად, განწენეთ და გაგრილეთ, რასაც საქართველო ერქვა და რაც ღღეს ოხრად დარჩენილი აძლებს ყორნებს და გურს უკრავს უძღურ ჭირისუფადს!

